იმოძრავე ცხოველივით!

მოამზადა რუსუდან თედორაძემ

მოსწავლეები სწავლობენ ცხოველების მოძრაობას და იმოძრავებენ (გააკეთებენ იმიტაციას) , როგორც სხვადასხვა ცხოველი!

სასწავლო მიზნები

მოსწავლეებს შეეძლებათ განიხილონ ცხოველების სხვადასხვა მოძრაობა და შეძლონ ცხოველების დაჯგუფება მოძრაობის მიხედვით.

ძირითდი ტერმინი-მოძრაობა.

მასალები და მომზადება

ფურცლები ცხოველების სურათებით (იხ.დანართი)

შესავალი (10 წუთი)

აუხსენით მოსწავლეებს, რომ ისინი შეისწავლიან ცხოველთა მოძრაობას ან გადაადგილების უნარს ერთი ადგილიდან მეორეზე.

დაფაზე დაწერეთ სიტყვა „მოძრაობა“ და სთხოვეთ ახსნან , როგორ ესმით მისი მნიშვნელობა,შემდეგ საჭიროებისამებრ აუხსენით ტერმინის მნიშვნელობა.

დაფაზე შექმენით სიტყვის ქსელი და სთხოვეთ მოსწავლეებს განიხილონ ცხოველების მოძრაობის სხვადასხვა გზები. ჩაწერეთ მათი ყველა პასუხი.

მოდელირება (10 წუთი)

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სხვადასხვა ცხოველის სურათს და სთხოვს გამოთქვან მოსაზრება როგორ გადაადგილებიან ისინი.

შემდგომ განიხილავს , რომ ზოგიერთ ცხოველს შეუძლია გადაადგილება ერთზე მეტი ხერხით, მაგალითად, ძაღლებს შეუძლია სირბილი და ცურვა.

შემდეგ მასწავლებელი წყვილებში ურიგებს ბარათებს და სთხოვს მოსწავლეებს მორიგეობით განიხილონ და გაუზიარონ იდეები ცხოველებისა და მათი მოძრაობის შესახებ . ასევე მათი აღწერის დროს შეუძლიათ მიბაძონ ცხოველების ზოგიერთ მოძრაობას.

დამოუკიდებელი სამუშაო დრო (20 წუთი)

მასწავლებელი მოსწავლეებს ანაწილებს ჯგუფებში. შეახსენებს ჯგუფური მუშაობის წესებს და დაფაზე აკრავს პოსტერს სახელწოდებით "ჯგუფური მუშაობა",რომელზედაც ჩამოწერილია წესები:

1. ყურადღებით მოუსმინეთ სხვებს

2. ისაუბრეთ ხმადაბლა

3. ისაუბრეთ ტექსტზე ან თემაზე

სთხოვს მოსწავლეებს აწიონ ხელი, თუ ისინი თანხმდებიან ამ წესების დაცვაზე ჯგუფური მუშაობის დროს.

შედგომ უხსნის ჯგუფებს, რომ ისინი მიიღებენ ორ ფურცელს ცხოველების სურათებით.მოსწავლეებმა უნდა ამოჭრან ცხოველები და დაალაგონ ისინი მათი გადაადგილების მიხედვით.

ასევე შეახსენებს ,რომ მათ შეუეძლიათ ცხოველების სხვანაირად დალაგება, მაგრამ პრეზენტაციის დროს უნდა შეძლონ მათი განლაგების დასაბუთება. მოსწავლეები მუშაობენ და აკეთებენ პრეზენტაციას.

შეჯამება:

მასალის შინაარსის გაგების მიზნით მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეხედონ დაფაზე ჩამოწერილ სიტყვის ქსელს და საჭიროებისამებრ დაამატონ ან შეცვალონ განთავსებული ინფორმაცია.

დანართი